კვირა, 3 აპრილი 1911 წ. ფასი ყველგან 10 კაპ.

№ 11 სალიტერატურო ჟურნალი

წერილები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома“. Теофилу Ерастовичу Болквадзе.

ცეცხლის სული.

(ვუძღვნი გ. რუხაძეს)

ალმაფრენამ ფრთა შემახო,
ლაჟვარდისკენ გამიტაცა,
გულის სატრფო ჩანგის სიმებს,
შეუთანხმა მყის მიწა-ცა.
დაეუფლა სტიქიონებს,
ამოჰკვეთა გზნების გული,
ალთ სიმებზე ამოჰქარგა
დაუშრეტი სიყვარული.
წყვდიადს ისრათ გაემახა
და სიმბოლოთ გამოსახა—
ცეცხლის სული!
გარდავხედე მთელ მსოფლიოს,
ჩავუკვირდი ჯოჯოხეთებს,
შიშის სხივი ჩავაკვესე
რისხვით მქშინავ ბოროტ ღმერთებს.
თვით უმანკო ანგელოზსა
წავუხდინე ტკბილი რული,
არ დავინდე არც მშვენება
ერთ წერტილზე დაისრული.
ძველ სახესა ძირში სჭრიდა,
მაგიერად ახალს ჰქმნიდა—
ცეცხლის სული!
ოცნება კვლავ ფრთა-აწყობით
დაუდგრომლად სრიალებდა,
რისხვით ჰფეთქდა, ქვეყნის ბურთი
რომ სწრაფად არ ტრიალებდა.
სურდა ალათ გარდაექმნა
თვით სიცოცხლე განაბული,
და ფიქრების სარეცელათ
გაეშლა სიხარული.
სულ ჰყიოდა: დაჰკა მზესო,
ყოველ კუთხით აფეთქდესო.—
ცეცხლის სული!
შემდეგ მიყვარს გრძნების ძალა,
გრძნობა წამით ვერ შორდება:
კაცთ ცხოვრება დაკვანძული
მრწამს ქუხილში გასწორდება.
ამაოა ცრემლი, ლოცვა,
ამაოა სინანული...
მომარიდეთ!.. არას დროს არ
შეიწირავს, ზვარაკს გული.
რასაც თვალი სოფლად ხედავს,
დასაბამით ჰქმნის და სჭედავს—
ცეცხლის სული!..

ნ. ჩხიკვაძე.

ნოე ჩხიკვაძე

სიღარიბე კვალში მდევდა
კარის კარზე დამატარა,
ვისაც ვსთხოვე შემწეობა
ყველამ გვერდი ამიარა.
აკაკი.

სიღარიბე, დუხჭირი ცხოვრება და გაჭირვება აკვანშივე უმღერდა ნანას ნოე ჩხიკვაძეს. ის დაიბადა 1885

წელს სოფლის ღარბ მუშა ალექსი ჩხეიძის ქოხში სოფელ დიდ ჯიხაიშში. მიწის მუშაობის კარდა მამა მისი დალაქობასაც ეწეოდა და თითო-ოროლა გროში შემოჭქონდა ოჯახში. მიუხედავათ ამისა მთელი ოჯახი კაშეგრეულ მდგომარეობაში იყო. ნოე აკვინიდანვე შეეჩვია ამგვარ მდგომარეობას, მისთვის სიცივე, შიმშილი და სხვა, უტილებელ მოელენათ ხდება. ყველაფერი აკლია პატარა ნოეს, და ისიც იზდება ამ სულის შემხუთველ პირობებში. მისი, მწარე ნადგელით კაჟელენთალი ქნარიც ნელ-ნელა იშეედება.

სიდარბემ მაინც ვერ დაამლეგინა ნოეს დედმამის თავისი განზრასვა და ის მიაბარეს კულაშის ორკლასიან სასწავლებელში. ის ამ დროს ათი წლის იყო—აქ ის ბიანთ დაყენეს თავის ეთვილ მებატონის ბიშეა მიქელაძის ოჯახში. ნოე აქ ხედავს ახალ ცხოვრებას, აქ მას თვალი ეხილება, მის პატარა თავში ათასგვარი ფიქრები ტრიალდებს. ის აქ ხედავს ადამიანთა ურთიერთობას, ძალიერისაგან სუსტის დაჩაგვრას, მის სპეტაკ გულს რადაც ეტია უჩნდება და ირღვნის, მის უალრდელ ცხოვრებას ჩრდილი ეფინება. ის ბრაზით ივსება, როცა ხედავს როგორ ექცევა ეთვალი მებატონე კალეხებს და ოჯახში მოსამსახურეებს, ფიქრობს და ვერ აუხსნია, რათ ხდება ეს ასე? რათ ექცევა ეთვალი მებატონე კალეხებს ასე მრისხანეთ? რა დაუშავებია? ესა და სხვა ამგვარი კითხვები მოსვენებას არ აძლევდენ პატარა ნოეს, მაგრამ მისი გონება ვერ მისწდომია ამ კითხვების პასუხს. სწორეთ აქედან ისახება ნოეს გულში „დასაგრულთადმი“ კამოსარჩლების იდეა. აქ ედგმება საფუძველი მის მომავალ იდეალს. აქ, ამ ეთვალ მებატონის ოჯახში, თან და თან მუშავდება მისი ფსიხოდოგია.

რამდენიმე ხნის შეედეგ ნოეს მამა ალექსი გადადის საცხოვრებლათ სოფ. საკალაოში (სენაკის მაზრა). ფიქრობს ამია იქნებ თავი დაადწიოს კაჭირვებულ მდგომარეობას, მაგრამ აქაც იგივე სულის შემხუთველი პირობები ხვდება. ნოეს დედ თამამი და ცხოვრების მცოდნე ქალი იყო. მას მტკიცეთ კადაწყვეტილი ჭქონდა დაეძღალა ეთვალთვე დაბრკოლება და შვილისთვის შესაფერი სწავლა მიეცა. ამ მიზნით, საკალაოში გადასვლის შემდეგ, ის მიაბარეს ფოთის საქალაქო სასწავლებელში. ის ამ დროს 14 წლისაა. აქ თან და თან იჩენს თავს მისი პროტესტანტული სული, ის ვერ ურიგდება სასწავლებლის სულის შემხუთველ პირობებს. ხშირათ შეტაკება მოსდის მასწავლებლებთან. მეოთხე კალსიდან მას ითხოვენ და ისევ დედ მამას უბრუნდება სოფელში. აქედან იწყება ნოეს ნამდვილი კაჭირვებული მდგომარეობა. დედმამას, რასაკვირველია, არათერათ ესიამოვნათ მისი სასწავლებლიდან გამოსვლა. მამა ცუდათ ეპერობა. ნოე აქაც ჭეოლობს გამოსასვლელ გზას, ის იპარება სოფლიდან და მოდის ოფალისში. ოფალისის ნახვა, ახალი უცნობი ცხოვრება და ახალი ხალხი ნოეზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ ის ვერც აქ პოულობს კმაყოფილებას. ცოტა ხნის შემდეგ ისევ სოფელში ბრუნდება და სოფლის მეურნეობას კიდების ხელს. მაგრამ ნოეს სული სადღაც მიიალტვის, ეიწრო კალაპოტში ვერ ეტევა, ის ეძებს ნაგთ-სასუფველს, მას სურს სულ სხვა ცხოვრება და ისევ კარების სოფლიდან და ბათომს ავარების თავს. 1905 წელს ნოეს ისევ სოფელში ვხედავთ. ამ დროს მამა უკვდება და მთელი ოჯახი თავზე აწვება. ის მიდის ფოთში სამუშაოს საძებნელათ და ეროსნანთ თავს ავარების კეთრი საბახტარაშვილის ქარხანას.

თუმცა ლექსების წერა პატარაობიდანვე უყვარდა ნოეს, მაგრამ მისი სამწერლო ასპარეზზე პირველ გამოსვლის სანათ **1908** წელი უნდა ჩაითვალოს. ამ წელში დაბეჭდა ნოეს რამდენიმე ლექსი იუმორისტულ ჟურნალ „უშმაკის მაორახში“. მის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლაში დიდი დვაწლი მიუძღვის ბ-ნ უშმაკს, რომელიც ამ დროს ხელმძღვანელობდა „უშმაკის მაორახს“. პირველმა დაბეჭდამ ლექსებმა ნოე გაახალისა და მის ნიჭს ფრთა გაუშლეგინა. მას აქეთაა ნოე მონაწილეობას ღებულობს ადგილობრივ პერიოდულ კამოცემებში. „ვერ დამიმორნებ, ვერ დამძლევ, ვერა!“—აი რა არის წიოელი ზოდიეთი კაეოდებული ეთვალმასის ლექსში. „სულს ატანაგროვენის ძალვეის სიმდერა“, – აი როგორ ძგერს მისი ჩანგის სიმები. აკვანში ჩანაბერი პროტესტანტული სული საფუძველათ დაედგა მის ლექსებს. ნოე ჯერ ახალგაზდა, 25 წლის, რაც დრო მიდის, მას თან და თან ეტეობა წინსვლა და განეოთარება, რასაც ამტკიცებენ ჩვენს ჟურნალში მოთავსებული მისი პოემა „მზის ასული“.

ირ—

(ირეკლი)

მზის ასული.

(დრამატიული პოემა)

(გაგრძელება*).

ეჰ, მეგობრებო! ემაგ სიმღერით
კვლავ ამიშალეთ უფხო ფიქრები,
გულის ჩანგისა იდუმალ ეღერით
მწვავე ოცნებამ შეისხა ფრთები.
ვით ავიტანო ორ-გვარი ტმნჯვა.
ან ვით დაეშრიტო ორი სახმილი?
სულში კიდევ სხვა აღტყინდა ზრახვა: –
მზის ასულისა დამფრენს აჩრდილი!

*) იხ. „სალამური“ № 10.

მუშა ქალი.

რაო, რას ამბობთ? რის აჩრდილები?—
აქ სინამდვილე არყევს გონებას,
ტანჯვაში სულს ვლევთ შრომის შვილები,
გზა ჩაქცევია სიცოცხლის გზნებას!
ნაღველს ადუღებს ქურა ცეცხლისა,
უმადლო აწმყოს ალი ედება,
სასწორზე არი ბედი ქვეყნისა,—
საქმისთვის გვიწვევს სულის კვეთება!

მგოხანი.

დიახ, საქმისთვის!.. ძაშ ის ვინ არი!—
ხომ მან მასწავლა მაშვრალთა კერა...
ჰაუ! თქვენთვისა რომ უცხო არი
ჩემი მიზანი და ბედის წერა!

(მიმართვით)

ხმავ იდუმალო! ნუ თუ გამტყუნდა
შენი საამო დაპირებანი,
მისწრაფებასა გზა გაუმრუდდა,
ზარათ მექცევა გულის ებანი?
ნუ თუ იმისი არ ძალ-მიძს ჰპოვა,
უნუგეშოა ოცნება ჩემი,
შვების ცისკარი ალარ ამოვა,
გზათ ჩაიმსხვრევა იმედის გემი?
ნუ თუ სიცოცხლეს არა აქვს აზრი,
უმნიშვნელოა მიზნისთვის ბრძოლა,
ჟამსა ლტოლვისას მიწას მომაყრი,
მგზნებარე გულის შეწყდება თრთოლა?
ნუ თუ?..
ოჰ, არა!.. სიცოცხლე მინდა,
უკვდავებისა გამიღე კარი,
მისკენ მიმაფრენს სურვილი წმინდა,—
საგანთიადო ვისმინე ზარი!
არ მინდა ყოფა მკვდარი, უგულო,
სულ გაყინული, ერთ-ფერ-ოვანი,
ცეცხლი აღმინთე ოცნების სულო,
მსურს გზა გავკაფო ნარ-ეკლოვანი!
მაშვრალთა კერავ! მომე დასტური,
საბედის წერო გავსჭედოთ ხმალი,
შენ, შენ გეკუთვნის აღთქმისა მხარე,—
გაიმახვილე სმენა და თვალი!

თამარი. (მგოხნის სტრფო. ალერსით).

... შენი არ ესმით,
შეშლილობაცა კი შემომწამეს,
ამათ მტკმცება სჭირიათ საქმით,
რომ შეუთანხმონ გონება რამეს.
თუმც მცირე რიცხვი ამათშიც არი
დროს შესაფერ-ათ შემეცნებული,
მაგრამ მათ ცოდნას ზღუდავს საზღვარი,—
იმ საზღვარს ელტვის ამხედრებული.
მიაღწევს... შემდეგ ისევ ახალი
შემეცნებანი დაებადება,
სწრაფვის კი, მათში არ ჭქრება ალი,
სწამთ მიზნისათვის თავის დადება.
ჯერ მათ გააცვნე საქმით, სიმტკიცით,
უთხარ ვინ არი „ასული მზია“,
თუ გაიგებენ ჭირში წრთობილნი
ალიგზნებიან ბრძოლისთვის მყისა.
უთხარ, აუხსენ!..

მგოსანი. (ნაღვლიანად).

გვედრი დამეხსენ!—
თუ არა სჯერათ, როგორ შევასმენ!—
ჩანს იმათ ჩემი არ ერწმუნებათ...

თამარი. (სიტყვას მოუკრავს).

ცდები ძლიერათ!
საერთო არი თქვენი მიზანი:
აწმყო გარდაქმნეს ძლევის სიმღერათ,
დევიზს შეუწყვეს გულისა თქმანი.
სუსტ ოცნებას კი, ალარ ჰმონებენ,
მათი სახატე—სინამდვილეა,
ხშირად სასტიკათ მტერს აღონებენ,
დაჩაგრულ მუშათ ლაშქარი მძლეა.
ისე ფუტია შენი მიზანი,
უმათოდ გწამდეს ვერრას გახდები!..

მგოხანი. (შუბდზე თითს მიიდებს).

ჰო, არა ცდები!
ამას მიმღერდა ხმა იდუმალი,
მათთან კავშირსა მაშ შევეცდები,—
ეგებ გზნებისა აფეთქდეს ალი.

(მუშებს)

ამხანაგებო!
მინდა გაგაცნოთ ჩემი მიზანი,
თუ მასთან თქვენც სცნოთ რამე საერთო,
ერთ-ურთს შეუწყოთ გულის ებანი!

მუშები.

გვითხარ რა არი!..

მგოხანი.

ცხოვრების ზარი,
დიად ტაძრისკენ გვიწვევს, გვეძახის,
იქ დაედება ტანჯვას საზღვარი,
შეწყდება ხმები გლოვა ვაგლახის!
მაგრამ იმ უცხო ტაძართან ერთად
ერთი რამ კიდევ გულს შეეთვისა:
გარდმექცა სულის საუნჯე-ღმერთად
ჯერ არ ნახული „ასული მზისა“.
სახის სრულ ყოფით ხალხში სულდგმულობს,
აქ დაიბადა... მხოლოდ კი დღესა,
არ ვიცი სად მღერს, საით ბულბულობს,
სიტურფით ამკობს რომელ მხარესა!

აწ ამა სოფლად მის მოვლინებას
წინამორბედობს ხმა იდუმალი:
მარად დაჰფრინსო მაშვრალთა კერას,
უკვდავებისა დააქვსო ალი.
მეც მჯერა რომ ის—აღთქმის ქვეყნისა
არი პირველი სახიერება,
ანგელოსია უმანკო, ხსნისა,
სოფლისთვის მოაქვს ბედნიერება.
მშვენიერების შარავანდედი
მის ბაგეთ კრთობით ჩვენ გვეფინება,
ცის კარსა აღებს... თვით მოაქვს ბედი,—
ძლევის სიმბოლოთ ის გვევლინება.
თქვენ მეგობრებო,—ჯერ აღარ იცნობთ,
უცხოა, უცხო სახე-მზიანი,
მაგრამ დრო დადგა... იმისკენ გიხმობთ,—
დავთურგნოთ ხვედრი ბედით-ხმიანი!

მუშები. (ერთ-ხმათ).

გულით თქვენთან ვართ!..

მესამე მუშა. (მგოსანს).

როგორც თქვენ ამბობთ
ასული იგი—ჩვენში შობილა,
ტანჯვა-ვაგლახში, შიმშილ-წუწურვილში
მაშვრალთა გვერდით გამოწრთობილა...
თუ რომ ასეა—დაჰკრას საათმა,
არ შევუდრკებით ხუნდებ-ბორკილებს,
ბრძოლის სტიქიათ აღვაგზნებთ გულსა,—
ეგ ღონე შეგვწევს შრომისა შვილებს!
თვით პირველ ყიჟინ-გამოძახილზე
მხარს დაგიმშვენებთ მწყობრად რაზმულნი,
ბრძოლა დაგვადებს მალამოს წყლულზე,
კვლავ ზე-აღვსდგებით ბედით ჩაგრულნი.
კმარა რაც ჩვენი მდორე ცხოვრება,
უსულ-უგულოთ მიექანება,
დე მხნე ქუხილში განვცადოთ, ვიგრძნოთ—
სიცოცხლის გზნება!..

თამარი. (მგოსანს აღერსით).

ჩემო ძვირფასო!
ძლიერებისა ცეცხლი ვიშ, ღვივის!
იჰვი გაჰფანტე, სევდას ნუ ჰმონებ,—
სურვილთა ბედი უკვე გიყივის!
დაგვრჩა გავიგოთ აწ ერთად ერთი:
სუფევს თუ სადა, სადა აქვს ბინა,
უძლურებისა ჯვარს ვაცვით ღმერთი,
გაბედულათა გავსწიოთ წინა!
სითაც პირს იზამს შეუპოვარი,
ერთ-სულოვანი მუშათ ლაშქარი,
იმ მხარეს შიშით ლოდიც მოსხლტება,
სამგლოვიარო დაჰკვნესებს ზარი.

(მგოსანი უეცრად ძლიერად ამოიგმინებს, თავს ძირს დახრის და ფიქრებს მიეცემა. თამარი ლაპარაკის კილოს შეცვლის).

ახ, რისთვის ხვნეშით?
ან რად გჭირიათ ეხლა მოწყენა?
მიზანი უკვე ახლო დაგვიდგა,
ჩემო სიცოცხლევ—გფერობს მოლხენა!
სთქვი რათა გმინავ!..

მგოსანი.

(პასუხი ვერ მოუხერხებია და გაოგნებული იტქირებს. ამ დროს ვალენტინა შემოდის. მგოსანი გონს მოდის და ეკითხება).

შენ ვალენტინავ?..

ვალენტინა.

დიახ, გახლავართ!—
ძლივს მივაცილეთ საწყალობელი,
ბალღები სტირდენ გულის საკლავათ:
ყველა მშიერი... შიშველ-ტიტველი!
ოდეს ლოგინზე ის დავაწვინეთ
შემოიბრუნა ცოტათი გული,
თან ერთი ჭიქა წყალი დალია
და ძილს მიეცა გაჭივრებული.
მე ბედ-შავ ბალღებს პური ვაჭამე,—
მკერდზე მომეჭდო პატარა ქალი
სულ ტიკტიკებდა: „დე-დი-ლო ა-მე“...
შესაბრალია ოჰ, შესაბრალი!

თამარი

ჩვენც დახმარებას ნულა დავაკლებთ,
მათკენ გვეჭიროს ყური და თვალი,—
ახ, დრო მტარვალი,—
(შემდეგ ისევ მგოსანს მიუბრუნდება)
შენ კი, ძვირფასო რამ ჩაგალონა?
შუბლი რადა გაქვს ჩამომტირალი?
მითხარ რა მოხდა!?.

მგოსანი

სული აოხრდა,
იმედებს სრულად ჩაექვათ გული,
იდუმალი ხმა აქ მეძახოდა,
მე აქ მეგონა „მზისა ასული“,
მაგრამ არ ახდა დაპირებული,
ლაღ სურვილებსა ფრთა შეეკვეცა,
დავრჩი მწუხარე, დაობლებული,—
ზე ანატაცი ფიქრი დაეცა!

მესამე მუშა

როგორ!?.
დაბეჯითებით გწამდათ აქ იყო?
აქ სუფევს სადმე და ვეღარ ნახე?—
თუ რომ ასეა, გულს ნუ გაიტეხთ,
ვერ გაგვისხლტება იმისი სახე!

წავალთ, მოვივლით ჩვენ ყველა უბნებს,
აღარ დავტოვებთ არც ერთ კუთხესა,
კიდითი-კიდეს გადავაბრუნებთ,
უფსკრულს ჩავხედავთ... გავაპობთ კლდესა.
თუ სადმე არი ის ტურფა არსი
ვპოვებთ, სამუდმოთ ჩვენი გახდება,
თუ რომ არ არი მაცდური სული
მიზანს მივაღწევთ... ფიქრი ახდება!

(ამ დროს ამხანაგებს კადახედავს და ბრძოლის ხმით გამოიწვევს).

მაშ, მომყეთ ძმებო!..

მგოსანი

ჰაუ, რას ამბობთ!—
თქვენ ძებნათ წახვალთ, მე აქ დავრჩები?
(ხედ კაშდით)
უიმედობავ, სევდავ, რად მაღრჩობთ,
ტიალო ბედო, რად მეურჩები?
განა სულისა არ მერჩის ძალა,
რომ ჟამს ბრძოლისა გავხდე ლაჩარი?
ან გზნების ალი ვინ ამაცალა,
უკანასკნელი ვინ მითხრა ზარი?
არა, თქვენ ცდებით!.. მე წავალ წინა,
ველარ მაშინებს ტანჯვით სიკვდილი:
რომ ერთხელ გულმა ამოიგმინა,
სასო არა მაქვს მით წარკვეთილი.
მე თუ შევწუხდი, მიზეზიც მქონდა:
ველარ გავიგე სად იმყოფება,—
ოცნებაც კვნესით სადღაც მიჰქროდა,
ფიქრებით ვუწყე მიზანს ვედრება.
ბავშვობიდანვე მე მას ვუმღერდი
და, დე ბრძოლისთვის დაირხეს მკერდი!..
მომყეთ ერთგულნო!..

(ყველანი კასდას ეპირებიან. ამ დროს კვერდის კარები იღება. შემოდის „მზის ასულის“ აჩრდილი დამაზი ქალის სახით და მეორე კვერდის კარებისკენ მისრიალდებს. ყველანი ამ სურათს თვალს მოჭვრავენ. მგოსანი მისკენ წაიწევა და შმაგივით წამოიძახებს):

მგოსანი

ასული მზისა!!!

თამარა

ჰო, ის არს, ისა!!!

მუშები (ერთ-ხმად)

ახ, ნუ თუ ისა!?.

(ყველას სურთ რომ შეეპყრან, მაგრამ აჩრდილი კარებში კასხდტება. კათეთრებული მგოსანი და მისი ამხანაგები კარებისკენ იტაცებიან. მცირე ხნის პაუზა. შემდეგ სიმუსიკეს ისევ მგოსანი ამოდგება).

მგოსანი

ნახეთ მიზეზი ჩემი ტანჯვისა,
აჰა ის სახე, სახე გრძნეული?
დიდი ხანია რაც მიკრთობს ძილსა,
იმან გამხადა აგრე ეული!
ეხლა აქ იყო, აქ გაიქროლა
გაჰქრა და... გულიც თან წაიყოლა.
ღმერთო! რაღა ვქნა, სად, სად ვეძიო,
ოცნეზის აჩრდილს ვით დავეწიო?
თუ ხორციელი იგი არს არსი
აგრე უკვილოდ, უცბათ რათ ჰქრება?—
ალბათ ვით შეჰფერს, ველარ ვექცევით,
უმანკო სული მიტომ გვიწყრება!
მაგრამ ბედ-შავმა რაღა შევცოდე,
ან აგრე მძიმე რა მაძევს ვალი?..

(ვედრების ხმით)

რატომ გამირბი ფიქრთა დემონო,
რისთვის შეიქმენ ჩემი მტირვალი!?
მამცნე თუ სად ხარ!..

ხმა (ნელი სიმღერა კულისებიდან)

ის ციხის ტგვეა,
შავი ციხისა,
გულ-მწუხარეა
„ასული მზისა“.
შავნი დარაჯნი
უვლიან გარსა,
ქვეყნის ალ-ქაჯნი
ემღერენ ზარსა.
ჰხუთავს და ჰბოჭავს
ბოროტი ძალა,
უმწეოდ ჰბორგავს,
სრულად მიმქრალა.
თუმც მარად ხსნასა
მოელოდება,
პასუხათ მასა
ესმის გოდება.
ფიქრით ჰკლავს დღესა
დაობლებული,
შესტირს ღამესა
სიცოცხლე-კრული.
მაგრამ ხან და ხან
მისი აჩრდილი
მოჰფრინავს თქვენთან
ღონე-მიხდილი:
ხსნას ევედრება
მაშვრალთ კერასა,
განზე ეპრება
ბედის წერასა.

მაგრამ რა ხედავს:
ხალხს ისევ სძინავს,
ნაღველი სერავს,—
უკან მიჰფრინავს
ზარია ცისთვის —
მის ცრემლთა რხევა,
თქვენი—ბრძოლისთვის
არს გამოწვევა.
მაშ შრომის შვილნო
დასძარით მკლავი,
დალეწეთ გმირნო
საკანი შავი!..

თამარი (მგოსანს)

ოჰ ნეტარებავ!..
ჰა ისევ ის ხმა, ხმა იდუმალი
ბრძოლისთვის გვიწვევს... აღსრულდა წერა!..
ტყვეობის კითხვას—გადაჭრის ხმალი,
გამარჯვებისას—ძლევის სიმღერა!—
ფიქრი გაჰფანტე!..

მგოსანი

ვაშა შენს სიტყვებს ტურფავ გმირულსა,
გხედავ მიზნისთვის თავ განწირულსა!
უკვე მოეშვა გულს დამწუხრებულს,
სული ჩაედგა სიცოცხლეს ვნებულს!
(მუშებს)
ძმებო, აწ ჯერი მიდგა ჩვენზედა,
მებრძოლთ სიმრავლე საქმეა თქვენი,
მზად უნდა ვიყოთ გარაჟრაჟზედა,—
ვგონებ არაა დრო დასათმენი!
რაც გვაღონებდა, რისთვისაც ვწუხდით
თქვენც გესმათ—გვამცნო ხმამ იდუმალმა,—
მაშ გულის ტოლნი რისხვით ამქუხრდით,
ყოფნა—არ ყოფნა გადასჭრას ხმალმა!..

მესამე მუშა

სიამით ვიშვებთ!
ეხლავ წავალთ და გათენებამდის
ყოველი კუთხით შევყრით ლაშქარსა,
თქვენც მოემზადეთ... ოდეს მოზარე
საცისკრო ხმაზე ჩამოჰკრავს ზარსა,
ქალაქის გარეთ, გაშლილ მინდორზე
ჩვენ შეკრებილნი ვიქნებით ყველა,—
სიცოცხლეს დავსდებთ ბედის სასწორზე
რაკი ვარსკვლავმა ხსნისა იელა.
მაშ გამარჯვებით!..

(მუშანი გადიან. სარდაფში რჩება მგოსანი და მისი სატრფო თამარა. ორთავენი გარინდებულნი დგანან და ერთურთს აღგზნებული თვალებით ჩასცქერიან. ბოლოს მგოსანი უცბათ მოსხლტება და ხელ-გაშლით თამარისკენ გაექანება)

მგოსანი

თამარ!.. სიცოცხლევ!!!
(უცბათ შესდგება და ხელებს მაღლა იშვერს)
ოჰ ძალთა-ძალნო! შემქნელნო ტრფობის,
ცეცხლი მომიდეთ, დამწვით, დამდაგეთ,
მე ვიგრძენ ძალა სიცოცხლის გრძნობის,
ბედნიერება უხვათ მოგაგეთ!
აბა ამ წუთებს რა შეედრება?—
მიზანი ახლო .. სატრფოც გვერდითა!
ვსცან შეგიწირავთ ჩემი ვედრება,
უკვდავებისა მავსებთ გზნებითა!

თამარი

სულის დგმავ, კმარა!..

მგოსანი

ოჰ არა, არა!..
აქ მოდი ჩემთან... მომეცი ხელი;—
ხვალ დილით იცი? მზის ასულისკენ
გულს გადაგვიშლის ბრძოლისა ველი!..

თამარი

მესმის ყოველი!
მანამ კი... (კისერზე ხელს მოხვევს და ხმა გაკმენდილი თვალებში ჩასცქერის)

მგოსანი (ერთხანს თვალებითვე აძლევს პასუხს, მაგრამ უეცრად მკერდში ჩაიკრავს და აღტაცებით წამოიძახებს)

იმედის სხივო!!!

ფ ა რ დ ა

(შემდეგი იქნება)

ნ. ჩხიკვაძე.

აჩრდილთა გოდება.

(ნოველა).

...და მზე დაბნელდა. საშინელმა უკუნმა ღამემ მოიცვა სამყარო, შორს გარკვევით ისმოდა მეხის საზარელი ხმაურობა და მას ბანს აძლევდა მაზე უფრო საშინელი ხითხითი სატანისა, თითქო ღამის, წყვდიადის შვილი სერობაზე უხმობს ავსულებსო. მიწის წიაღიდან იყო საშინელი ხმა. ბელზებელმა ჩამოჰკრა ზარებს და ტარტაროზები ჯოჯოხეთიდან სოფლად ილტვოდენ. ჟამი იყო ქვეყანას პირველ ყოფილი სახე დაეკარგა და კოსმოსიდან ქაოსად ქცეულიყო. შუა გაიხა კრეტსამბელი სოლომონისა, მკვდრებმა უტოვეს საფლავები და აჩრდილთა სულები სოფლად აღოდდენ. არყოფნის ღამეს წამოყვენ აჩრდილნი ბნელ ღამეში გზას ვერ იგნებდენ.

— შემოქმედო, შენ ვინც გვიხმე საფლავიდან შენ ვინც ამდენხანს გვპირდებოდი დღის ნათელს, შეიბრალე შენზე მლოცველნი გზა გაგვინათე ჩვენ ბევრი, რამ გვინდა გავიგოთ, შენი საუკუნო გული ვერ გაუძლებდა იმ მოლოდინის ზღვას, ჩვენ რომ გულში გვიღელავდა საუკუნო იყო ის ლოდინი დღის ნახვისა, ჩვენ გულში არ ნელდება უკვდავი გზნება. ჩვენ საფლავშიაც შენზე ვლოცულობდით, ჩონჩხების ქნარზე გიმღეროდით საგალობელს, საფლავის მტვერს ასველებდი ჩვენი ცრემლები, რა უყოთ რომ ნაღვლიანი იყო ის სიმღერა სამაგიეროდ დაფერფლილი გულის ლოცვა იყო;

— გვაღირსე ნათელი—ცოდვილ სულთაც მოსწყინდათ საფლავის მდუმარება, ჩვენ გარიჟრაჟის ნახვა გვენატრება, ამ ბნელ ღამეშიც გაგვინათე ნათლის სვეტი, როგორც მოსეს უნათებდი არაბეთის უდაბნოში შენი ბრძანებით მზემ სცნო ჟამი და საღამისა, შენი ბრძანებით ის კვლავ ამობრწყინდება.

— უკვდავო სულო! ისმინე ჩვენი ლოცვა, ისმინე ცოდვილ აჩრდილთა ლოცვა. ჩუმად ბუტ-ბუტებდენ აჩრდილები, მაგრამ ღამის უდაბნოში იმარხებოდა მათი ლოცვა, უკუნი ბნელი ერტყა ქვეყანას... მაინც არ სდგებოდენ აჩრდილნი მიდიოდენ მისთვის რომ არ შეეძლოთ არ წასვლა.

— მე დედა მინდა ვნახო, დედა ეთუოდ მას ჯერ კიდევ არ შეშრობია ცრემლი, როგორ უყვარდი... მე ეხლაც მესმის მისი ხმა ამ არ ყოფნის ღამის ჩურჩულში .. მე მესმის სევდიანი სიმღერა. მახსოვს ბნელ ღამეში, როცა არ დამეძინებოდა, გარედ ძარიშხალი მოსთქვამდა, თითქო უნდა ქვეყნის ცოდვა გამოიტიროსო, მე დედა მაშინ ნანას მეუბნებოდა სევდიანი იყო ის ნანა, ალბად მისთვის ჩამრჩა ასე გულს, თითქო ეხლაც ვისმენ მე მის ხმას... გესმით როგორ ჩურჩულებს არ ყოფნის ღამე... ეს დედის სევდიანი სიმღერაა?.. ღამის ბინდში მოსთქვამდა სული და უკუნი ღამე ბანს ეუბნებოდა.

— მე სატრფო მინდა ვნახო გულში კიდევ არ განელებულა ტრფობის კოცონი, ტუჩებს კიდევ უფრო დაბნელდეს ღამე, ქვეყანას ნუ ეღირსება ნათელი თუ მის ტუჩებს ჩემ მაგიერ კოცნიდა ვინმე. ისმოდა აჩრდილის ხმა. მათ სოფელს მიაღწიეს, იქ კი საშინელების საყვირი სცემდა. საფლავათ ამდგარიყო სასოწარკვეთილება აჩრდილთ ესმოდათ გოდებას ადამიანების, აჩრდილნი ისმენდენ ღამეში ადამიანთა მოთქმას. მათ ყველაფერი გაიგეს, მიუწდომელს მისწვდა მომაკვდავი აჩრდილნი უკან დაბრუნდენ.

— საბრალო დედა, იქნებ შენც ჩემსავით გზა აგერია და ცრემლით ალბობ უდაბნოს ქვიშას, წყეულიმც იყოს შემოქმედი, თუ კი მეტი ვერაფერი მოუგონია, რომ ჩვენ ტანჯვაზე იცინოს!..

— რატომ ცეცხლის წვიმა არ მოველინება სოფელს, რომ აღგავოს ბილწი სოდომი მაშ მატყუებდა, თურმე სხვასთან იზიარებდა ბედნიერების წამებს, მაშინ როცა მე საფლავშიც მაზე ვტიროდი. ვაი მას ვინც მიენდო ქალის სიტყვებს, ვაი მას ვინც მიენდო ქალის სიტყვებს, ვაი მას ვინც ქალის წიაღში ბედნიერებას მიაგნო ჭგონია; სტიროდეთ ლოდებო ხავსიანო ლოდებო, ნუ თუ სისხლმა რომელიც ჩვენ დავანთხიეთ კიდევ არ გაადნო თქვენი ცივი გული? საშინელების წინამძღვარო არ ყოფნის ღამე, აწი შენ უტყვ წიაღში არ აინთება ჩირაღდანი ცხოვრებისა, მკვდართა აჩრდილნი საფლავებს არჩევენ ქვეყნად ცხოვრებას, მოსთქვამდენ სულები. ღამეს კვლავ გულცივად გაეშალა ბნელი წიაღი და ცნობის მოყვარეობით ისმენდა აჩრდილთა გოდებას, რომ გულში დაემარხა და პასუხად დუმილი ეძღვნა. ყველაფერი სდუმდა, სდუმდა სოფელი, ვით სასაფლაო. ჟამი შესდგა, ცრემლები ასველებდა უდაბნოს ქვიშას, ზეცა მუნჯობდა, მხოლოდ არყოფნის ღამეში ისმოდა საშინელი ყორნის ფრთათა ბარტყუნი, რომელიც აჩრდილთა სულებს საფლავებისკენ მიაქროლებდა. მის ფრთათა ბარტყუნში ისმოდა, რაღაც საშინელი, ჭკუის შემრყევი, თითქო მისი ფრთები ამბობდენ: „მე ცხოვრება ვარ—შეუბრალებელი, მოუთმენელი.“ო... და გოდებდენ აჩრდილნი, სწყეულიდენ შემოქმედს... წყეულიმც იყავ, ჩვენ არ გვინდა, შენგან აღთქმული დღის ნათელი, მაშინ უფრო საშინელი იქნება სოფელი, რად გაგვაღვიძე რად დაგვიკარგე საფლავის მყუდროება? რად მოგვიხმე, როგორც გველი ხვრელიდან, განა არ მოგწყინდა და განიზრახე კიდევ დაგეცინა? ამაყი არიან აჩრდილთა სულები, საფლავის სიცივეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ ჩაუკლავს, ჩვენ გვინდა საფლავის მდუმარება, საუკუნო ძილი, ყველა ბედნიერი იქნებოდა ჩვენ რომ მოგვბაძავდენ.

— ჩვენსკენ ადამიანო, რად არ სჯობია საუკუნოდ არაფრის გრძნობა, თუნდაც საფლავში შენ ცხოვრებას, ტანჯვაში შობილს და ტანჯვაში დასათავებელს.

— შემოქმედო! უკან წაიღე დაპირება. გულში ამოშრა მოლოდინის ზღვა ჩვენ არ გვინდა ნათელი, ჩვენ არ გვინდა საშინელება ყოფნის ნაღველი, რად მოგვიხმე რად საფლავიდან?..

შავი ყორანი სიკვდილისა ფრთებით მიაქანებდა მათ საფლავებისკენ ჰაერს აციებდა მისი ფრთათა ბარტყუნი და მიდამო გულგაკრთომილი ყურს უგდებდა აჩრდილთა გოდებას.

— მდუმარედ იდგა გოლგოთას ქედი, მდუმარებით ისმენდა აჩრდილთა გოდებას... შორს კი პირი დაეღო ნაზარეველის საფლავს და ქრისტე მუნით ლტოლვილი ცად მაღლდებოდა..

ტ. ტაბაძე.

რათ მიყვარს?!

გინდათ, იცოდეთ, რათ მიყვარს
მერცხლის საამო ჭიკჭიკი
იქ, სადაც დაჰქრის ნიავი,
ისმის ნაკადულთ ლიკლიკი?!

სად გლოვის ზარიც თანა სდევს
მგოსნის საამო მღერასა,
სადაც ბორკილი ამძიმებს
სიცოცხლის მაჯის ძგერასა,—

მეც იქ მსურს, ხოლმე, მივბაძო
მერცხალს, კუდ-მაკრატელასა,
რომ მოსვლა ტკბილ გაზაფხულის
ლხენით ვაუწყო ყველასა.

ნიავს თან ფრენით გავყვები,
წავყვები მთათ და ბარათა
და ჩანგს, ტკბილ საგაზაფხულოს,
ვაჟღერებ წარა-მარათა.

უბირ ქოხთ შორის მწუხრის ჟამს
დავსძახებ საგარიჟრაჟოს,
რომ ბინადარმა ქოხისამ
გული იმედით აკაჟოს.

დე, ღამის ბინდმა დაჰხუროს
ქვეყანას სევდის საბანი,
მიდამოს წარღვნას უქადდეს,
ცის მკერდის ჩამონაბანი.

მაინც ნუ შეუშინდება:
გული იმედით იკაჟოს!
და მე კი, რწმენის ტკბილ ჰანგზე,
დავსძახებ საგარიჟრაჟოს.

ჭალაკს გავსცდები, ტყეს გავალ,
გზას დავსცემ ხრიოკთ შორისა,
რომ ერთ გორს ჩუმათ გავანდო
ფიქრი, მეორე გორისა,

კვალათ მესამეს წავუღო,
ნაფიქრი ამა ორისა,
და ერთად შევკრა ნაფიქრნი,
ყველა მეგობარ სწორისა!..

მეც ამ თაიგულს დავეძებ,
ვეძებ ამ უცხო კონასა!
ის არეს გააჩირაღდნებს,
აღძრავს, აღადგენს მონასა.

გულს აუძგერებს იმედით,
გაუფრთოსნდება სურვილი,
გამოსავალიც ერთია:
მოიკლას გულის წყურვილი!

აი, რათ მინდა მივბაძო
მერცხალს, კუდ-მაკრატელასა,
რომ მოსვლა ამ ტკბილ საათის
ლხენით ვაუწყო ყველასა!..

ნ. ზომლეთელი.

* * *

კვლავ გაწყდა სიმი, გულის ჩონგური
კვალად მიყუჩდა, აღარ წკრიალებს
და ბედის ჩარხი, საჭირბოროტოდ
უკულმა ბრუნავს, უკუ ტრიალებს.

ყორანი შავი, კუპრივით შავ ფრთას
უქნევს და უქნევს მიდამო-არეს,
გულშემაზარად დასჩხავის მარად
საჩემოთ გათხრილ შავსა სამარეს.

მე საფლავის პირს ვდგევარ მარტოკა,—
დაობლებული, დევნილი, მწირი
და გულს მიღონებს, სულთქმას მიხუთავს
ათასი ტანჯვა და გასაჭირი...

აგერ საფლავმაც დააღო ხახა,
თან ჩამიტაცა და მიმაძინა,
მოვიდა მტერი და უსულო გვამს
წიხლით შემეხო, მწარეთ დამცინა.

წმინდათა წმინდა გასთელა ფეხქვეშ,
რა კი მიხილა მიყუჩებული,
არ შემიბრალა უტოლმეგობრო,
ობლათ შთენილი, მივიწყებული...

აგერ, ყორანიც ჩემს გვამს—უსულოს—
ჭკორტნის და ჭკორტნის, თავს დასტრიალებს,
სწუწნის გაყინულ გულ-მკერდს ულმობი,
არ ვებრალები გასატიალებს.

მარტოთ მარტო ვარ—ობლათ შთენილი,
ჩემი მშველელი არა სჩანს, არა...
გულის სიღრმიდან სისხლი ნაკადათ
გადმომეჩქეფა, გადმომიარა!..

მკერდი გამიპო ვიღაცის ხელმა,—
სისხლს დაეწაფა, მორთო ხარხარი,

მკვდარი ვარ, მაგრამ ვიგრძენი ტანჯვა,
ამტკივდა გული ნაკუწ-ნაღარი...

... ვხედავ ამ საზარ სანახაობას,—
თვალთაგან ცრემლმა გადმომიარა
და გლოვის ჰიმნი აღმომხდა ბაგეთ,
დამწვა ისედაც მწვავე იარა.

ჩემსა ხატებას ვხედავ, მაგრამ რა,—
არ ძალმიძს მაღლა აღვიღო მკლავი
და სისხლის წვიმათ გარდმოვევლინო,
ვინც არის ჩემივ სულთამხუთავი.

არ ძალმიძს, არა..ვინც წინად ძმობის
სიტყვას მაძლევდა, ჰფიცავდა მარად,
ისიც დამცინის უსულ უგულოს,
ხელს აღარ მაწვდის აწ დასახმარად!..

... მკორტნის ყორანი... იძინე, გულო,
ნუ ატოკდები... ვფიცავ განგებას—
ძალას მოვიკრეფ,—გაყინულს გულში
კვალად გაგემგე ლხინსა და შვებას.

ლ. დარჩია.

გლოვის ზარი.

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან).

აღმოსავლეთიდან გამოწვდილმა უხილავმა ხელ მა ნელ ნელა მოხადა ორ მთებ შუა გადაწოლილ სოფელს ბნელი ზეწარი, მოშუპა, აიკეცა ხელში, მძლავრათ გაიქნია ცის სივრცეში და მის ლურჯ ზვირთებს შეუერთა. მძინარე სოფელმა, თითქო მძიმე ლოდი მოაძრესო, შეიშმუშნა და მწარეთ ამოიგმინა. აქეთ იქით აღმართულ ბუმბერაზ მთების ძლიერ გულმკერდზე მგზავრათ გაჩერებული პაწია ღრუბელიც შეინძრა, მას გზათ შემოღამებოდა და დაუპატიჟებლათ მიედო თავი მრისხანე დევ გმირთა მქშინავ მკერდზე, თითქო ტკბილი ძილი დაუფრთხესო ის უცბათ მოშორდა გაიცაბა ცის სივრცეში და სწრაფათ გასცურა აღმოსავლეთისკენ, რომ ებანავნა ოქროს სხივებში და განწმენდილი წარსდგომოდა დიდებულ მნათობს პაწია ტოროლამაც მინდვრის ბალიხებიდან თავი ამოჰყო, მარდათ ამოხტა და კრიმანჭულით შეფრთხიალდა ცის სივრცეში. ჩიტებმა ჟრიამული ასტეხეს. დილის ნაზმა სიომაც ეშხით ჩამოიქროლა და ხეებს, ბალახებს კდემა მოსილებით ეამბორა. თითქო მდინარემაც იგრძნო ეს დიდებული წუთი და მთელი ღამე ხმა გაკმენდილმა სიამოვნების ნიშ ნათ ჩუმათ რაღაც ჩაილაპარაკა, თითქოს გაიცინა, მის ნაპირებზე უძრავათ მდებარე ლოდებს წაეხუმრა, თავისი ბროლივით ანკარა წინწკლები შესტყორცნა. მუდამ მრისხანე, სოფლის აქეთ იქიდან დარაჯათ მდგომ დევ გმირ მთებსაც სიამოვნების ნიშნათ ჩაეცინათ, მათ დაღვრემილ სახეზე ღიმილმა გაითამაშა, ფაფარი შეიბერტყეს, რაღაც ჩაიბუტბუტეს და ამაყათ გადმოხედეს მათ ფეხქვეშ განრთხმულ პაწია სოფელს. სევდის ბასრ კლანჭებში გაჭედილმა სოფელმაც იგრძნო დიდებული ძალა, იქ მწარე ცხოვრების ბორბალი გადატრიალდა და დაიწყო მუშაობა.

აღმოსავლეთს ცეცხლი მოეკიდა. ამაყათ ამოცურდა დიდებული მნათობი და თავის ოქროს მძივები უხვად მოაბნია სამყაროს. მის წინაშე ყველამ მუხლი მოიდრიკა, ქვეყნათ გაისმა მხიარული ჰიმნი.

ონიკა ბერუაშვილი თვალების ფშვნეტით გამოვიდა თავის სახლის აივანზე, შუბლზე ხელი მიიდო და ისე გახედა აღმოსავლეთისკენ.

— თებრო! თებრო! გასძახა მან თავის ცოლს, —რა დილა არის, ბიჭო შენი ღმერთის ჭირიმე, რა დილა, მთელ სიცოცხლეთ ღირს. აბა გამო თებრო შეხედე!

აივანზე გამოვიდა შუახნის დედაკაცი თებრო, ონიკას ცოლი, იმანაც შუბლზე ხელი მიიდო და ისე გახედა აღმოსავლეთს.

— უჰ! უჰ! მართლა, რომ მშვენიერი დილაა, ნეტა მას ვისაც არაფერი აწუხებს და ისე შეხვდება ასეთ დილას.

— კიდევაც, რომ ასეა, ჩემო თებრო, შენა გგონია, რომ ჩვენ გვიცინის მზე, ჩვენთვის მღერიან ჩიტები? ჩვენთვის არის ეს მშვენიერი დილა? აბა რა სათქმელია! საწყალი კაცისთვის ყველაფერი სანატრელია, ჩვენთვის აღარც ღმერთია, აღარც მზე და აღარც მთვარე, მხოლოდ საწვალებლათ გავჩენილვართ. აბა ერთი მითხარი, აგერ მოვხუცდით და ერთი, როდისმე პირდაპირ თვალებში შეგვიხედნია მზისთვის, მიგვიქცევია, როდისმე ყურადღება ასეთ მშვენიერ დილისთვის? ასე გგონია თითქო მზესაც „ვოენნი პოლოჟენია“ აქვს და სტრაფნიკივით მეჩვენება—იხუმრა ონიკამ.

— ეჰ, ნეტავი შენ ერთი, გააწყვეტინა სიტყვა თებრომ, აბა რა დროს ასეთი ლაპარაკია, უმჯობესია დროზე სამუშაოზე წავიდეთ და ის ერთი დღიური მიწა დავთესოთ. მაგისთანა ლაპარაკი რომ იცი, კიდეც იმიტომ არ უყვარხარ აღარც მთავრობას და აღარც სხვებს.

— მაშ არ ვილაპარაკო, ადამიანო? აბა, ერთი მითხარი რათ ვერ უნდა შეეხედოთ მზეს? ნუთუ მუდამ კისერზე და ზურგზე უნდა გვიმზიროს? ნუთუ

მარტო ჩვენი კისრების გასახეხავათ არის გაჩენილი მზე? მაშ არ ვიკითხო ეს? წყენით წარმოსთქვა ონიკამ.

— მაშ, იკითხე და იყავი მანდ სანამ პასუხი არ მიიღო, შენს ყანას კი სხვები მოგიხნავენ — ბრაზიანათ ჩაილაპარაკა თებრომ და სახლში შევიდა.

ონიკა ჩაფიქრდა. ის მთლად გაიტაცა ბუნების სიმშვენიერემ, თვალებს ვეღარ აშორებდა აღმოსავლეთს. შეუმჩნევლათ მან ნელ ნელა პერანგის საკინძი გაიხსნა და თავისი გახუხული გულ-მკერდი მზეს მიუშვირა. გამოუთქმელ ნეტარებას გრძნობდა ამ დროს ონიკა და სიამოვნების ნიშნათ გულზე ნელა ხელს ისვამდა. კარგა ხანს იყო ასე. ბოლოს ცოლის ხმამ გამოაფხიზლა.

— სანამდე უნდა იდგე ასე ადამიანო? სამუშაოზე აღარ წავალთ?—გამოსძახა თებრომ.

ონიკას თითქოს რაღამაც მწარეთ გულზე უკბინა, ერთი გულ საკლავათ ამოიკვნესა, შევიდა სახლში და სამუშაოთ წარსასვლელათ მზადებას შეუდგა.

როგორც ორი დიდი ვეშაპი, ერთი მეორის გასწვრივ გაწოლილან გაუვალ ტყით დაბურული დარაგეთის მთები. მათი შავათ შემოსილი მწვერვალები ცამდე აზიდულან, რომ ადამიანს ვერ მიეწვდინა იქ თავისი ხელი, იქ მხოლოთ გზათ მიმავალი ღრუბლები ათევენ ღამეს. ამ ორ მდუმარე, ვეშაპის ფეხებთან განართხულია პაწია სოფელი ოკანეთი, მთების ძირათ მკვირცხლათ მოიკლაკნება ანკარა მდინარე ოკანა, რომლის ნაპირზე გაგრძელებულა სოფელი. ბუმბერაზი მთები დარაჯათ უდგანან ამ სოფელს, თითქოს ორი ვეშაპი ერთი მეორეს ულრენს, რომ თვითონ დაეპატრონოს უმწეო სოფელს და ერთის ფეხის დაკვრით გასრისოს.

საშინელი სანახავია დამაგეთის მთები, როცა მის მწვერვალს ყვავ-ყორნებივით დასტრიალებენ შავი ღრუბლები, ტყის გულში რაღაც საშინელი ხმაურობა ასტყდება, იწყება ბრძოლა, ტყე ხან ჩაიქვითინებს, ხან დემონურათ ხითხითებს. ორივე მთიდან გამონატყორცნი ხმა, სოფელს აწვება. სოფელი თრთის.

ღამით, როცა სოფელში სძინაკთ, ორი ვეშაპი თითქო იღვიძებს, ორივე მხრიდან გაისმის რაღაც საიდუმლო ჩურჩული და გესლიანი ხარხარი. ორივე ტყიდან გამოწვდილი ხელი ერთი მეორეს უერთდება. თითქოს ბუმბერაზი მთები შეთქმულობას ამზადებენ უმწეო სოფლის წინააღმდეგ.

აი ამ პატარა სოფელში სცხოვრობდენ ადამიანები. აქაც ხან წაღმა და ხან უკუღმა ტრიალებდა ცხოვრების ბორბალი. აქაც, ამ პატარა სოფელში ვერ ისვენებდენ ადამიანები, ჭკბენდენ ერთი მეორეს, ცხოვრებას უშლიდენ შური მტრობა და ბოროტება აქაც იყო. არსებობისათვის ბრძოლას აქაც შემოეყო თვისი მძლავრი ხელი და ცხოვრების ჩარხის ღერძი ხელთ ეგდო. როგორც ყოველგან აქაც ადგილი ჰქონდა სიხარულს ტანჯვა-წამებას და კვნესა-ტირილს. როგორც ყოველგან აქაც ზაგრათ გაბიჯგულიყო ბატონი უსამართლობა და ხშირათ იწვევდა კვნესა-ტირილს. დევ-გმირი მთები-კი საზარლათ ხითხითებდენ, როცა ესსოდათ უმწეო ადამიანთა ქვითინი.

ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე მკვლელობა და ავკაცობა მოხდა ამ სოფელში, ავაზაკები დარაგეთის ტყეს აფარებდენ თავს, არა ერთხელ და ორხელ მოევლინა სოფელს მთავრობის რისხვა ეგზეკუციის, დაჯარიმნების და სხვა სახით. სოფელი გმინავდა, დარაგეთის მთები კი ხითხითებდენ.

ამ სოფლის ბოლოზე, პატარა ქოხში, სცხოვრობდა ონიკა ბერუაშვილი ონიკას კარგი სახელი ჰქონდა სოფელში. ჭკვიანი კაცი იყო და ლაპარაკიც კარგი იცოდა თუ რაიმე სასოფლო საქმე იყო, მუდამ ის მეთაურობდა მთავრობასაც მუდამ ის აძლევდა პასუხს, რისთვისაც ორ სამჯერ ძლივს გადარჩა დატუსაღებას.

ცოტა ხნის შემდეგ ონიკა და თებრო გამოვიდენ სახლიდან, სამუშაოთ გამზადებულნი და გასწიეს ჭისკრისკენ, რომ ორღობეში ვიღამაც თქარათქურით ჩამოატარა ცხენი და გაჩერდა

— ონიკა! ჰაი ონიკა!—მოისმა ჭისკრიდან.

ონიკა შეჩერდა, იგრძნო, რაღაც კარგი ამბავი არ იყო. ამ ხმამ რაღაც უსიამოვნოთ უკბინა გულზე. შუბლზე ხელი მიიდო და გახედა.

— ეს უთუოთ ეშმაკის მოციქული გაბრიელა უნდა იყოს, ალბათ რაღაც კარგი ამბავი არ არის— ჩაილაპარაკა ონიკამ და თებროს შეხედა.

— ონიკა ჰააი! ონიკა!—კვლავ გაისმა ჭისკართან.

— აქა ვარ, მობრძანდით—გასძახა ონიკამ და ჭისკრისკენ წავიდა—რა გნებავს?

— ეხლავე სოფლის კანცელიარიაზე უნდა წახვიდეთ ყველანი, დღეს ყრილობა, მთავრობის მმასახლისს უნდა დარიგება მოგცეთ. არავინ დაიკლდეს თორემ ტყავს გაგაძრობთ, ყველა უნდა წახვიდეთ ქალი, კაცი დიდი და პატარა. გესმის?

ონიკა მიუახლოვდა ჭისკარს.

— ღმერთი არ გრწამთ მერე ასეთ დროს, რომ გვეძახით? შეხედე რა დღეა ასეთ დღეს გლეხმა უნდა იმუშაოს, თუ ყოველ დღე ასე გვათრიე, ხომ შიმშილით ამოვწყდით?— წყენით უთხრა ონიკამ.

— შენ ბევრი ლაპარაკი ნუ იცი. მე გიცხადებ უნდა წახვიდე მეთქი და თუ არ წახვალ, აი ხომ ხედავ? გაბრიელამ მათრახი უჩვენა და თქარა-თქურით დაეშვა თავქვე.

ონიკა ცოტა ხანს გაშტერებული იდგა და შემდეგ გამობრუნდა უკან.

მან თებროს შეხედა, თებრომ ონიკას. ორივეს თვალებში ერთი და იგივე კითხვა იყო გამოხატული.

— რა ვქნათ? წავიდეთ?—შეეკითხა ონიკა.

— მა რა უნდა ვქნათ? არ გეშინია იმისი?

— არ მეშინია, მაგრამ ზურგს მატკენს.—მწარე ღიმილით წარმოსთქვა ონიკამ.

ორივემ დაჰყარეს სამუშაო იარაღები, გამოკეტეს ქოხის კარი და გაუდგენ გზას სოფლის სამმართველოსკენ.

გზა და გზა მათ შეუერთდენ სხვა გლეხები დაღვრემილნი, ხმა ამოუღებლათ მიდოდავდენ. ყველა მათგანს ერთი საკითხი უტრიალებდა თავში—რაზე ერეკებოდენ ამ დილით, რა უნდოდათ მათგან? როდის მოეღებოდა ბოლო მათ ასეთ ტანჯვას, როდის მოისვენებდენ? პასუხი არსად იყო.

სოფლის სამმართველოსთან უკვე კარგა ბლოგმა ხალხს მოეყარა თავი, როცა იქ ონიკა მივიდა. ყველას გამხდარ სახეზე მხოლოდ უზომო ტანჯვას და მწუხარებას ამოიკითხავდა კაცი. როგორც აჩრდილები აქეთ-იქით დაღოლავდენ გამხდარი გლეხები და მწარეთ დაღონებულნი ფიქრობდენ თავიანთ მდგომარეობაზე.

რადგან მკვლელობა და ავაზაკობა არ ისპობოდა სოფელში უკანასკნელათ დანიშნეს მამასახლისად თარხან ბუქაძე კაცი მეტათ სასტიკი. მისი მათრახის გემო კარგათ იცოდენ ახლო მახლო სოფლელებმა.

აი ამ თარხანს ელოდენ დღეს გლეხები.

დიდი ლოდინის შემდეგ გამოჩნდა თარხანი. გარს დარაჯები ერტყენ. ის საჩქაროთ ავიდა სოფლის სამმართველოს აივანზე, აღმართა თავისი დიდი მათრახი და დაიწყო:

— მე დამნიშნეს თქვენს მამასახლისათ. მტკიცეთ გადაწყვეტილი მაქვს ყოველივე ღონე ვიღონო და მოვსპო თქვენში ქურდობა და ავაზაკობა. ეს თქვენთვის იქნება კარგი. გიცხადებთ თუ კიდევ ისეთი ამბები განმეორდა, როგორც ამდენ ხანს ღვთის რისხვათ მოგვევლინები, მეხათ დაგატყდები, გაგსრესავთ, გაგანადგურებთ. არავინ თქვენგანმა არ გაბედოს ავაზაკის დაფარვა, უნდა მოგვცეთ ყველა არა საიმედო პირნი. იცოდეთ ყველა ურჩი სასტიკათ დაისჯება. ხომ ხედავთ, თარხანმა მარჯვენა ხელი ასწია და თავის დიდი მათრახი შეათამაშა, როცა ეს ხელი მომეღლება მეორეს ვიხმარ. იცოდეთ ისიც, რომ მთავრობის წინააღმდეგობა ხეირს არ დაგაყრით და კარგი არ არის. თქვენ იცით ვინ მოჰკლა ჩემი წინა მოადგილე. დღესვე უნდა ჩამაბაროთ მკვლელი, წინააღმდეგ შემთხვევაში უბედურებას დავატრიალებ, დაგაწიოკებთ.

გლეხები სდუმდენ მათ ტანჯულ გულში გენიის ცეცხლი ტრიალებდა სათქმელი ბევრი ჰქონდათ, მაგრამ ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა. ბოლოს წინ წამოდგა ონიკა ბერუაშვილი.

— ყველაფერი კარგი, ბატონო მამასახლისო, სანამ ჩვენი ზურგი აიტანს გავუძლებთ თქვენს რისხვას, მაგრამ შეუძლებელს ნუ დაგვაკისრებთ. მკვლელების და ავაზაკების ძებნა თქვენი საქმეა, პოლიცია თქვენ ხართ და თქვენ უნდა ეძებოთ. ჩვენ სად შეგვიძლია მათი უკან დევნა აგერ დღეს ასეთი მშვენიერი დღეა და იმის მაგიერ, რომ ყანებში ვიყოთ, თქვენ ხან აქეთ გვერეკებით და ხან იქეთ, ხან მთელი დღე მზეზე გვაჩერებთ და ხან წვიმაში. გვითხარით ერთი, რა ვქნათ? რა გინდათ ჩვენგან?

თარხანს ფინთიხივით მოხვდა გულზე ეს სიტყვები, ის ქორივით გადმოფრინდა აივნიდან და ონიკას მათრახები დაუშინა.

— აი რა მინდა! აი რა მინდა! ყვიროდა გაბრაზებული თარხანი ეს ისეთი მოულოდნელი იყო, რომ გლეხები შეკრთენ, ზოგი აქეთ გაიქცა და ზოგი იქეთ.

ამ დროს უცბათ იქვე ახლოს ეკკლესიის სამრეკლოდან გაისმა გლოვის ზარი. ვიღაც სამრეკლოზე აპარულიყო და ნიშნათ მწუხარებისა ზარს ჩამოჰკრა.

ეს ხმა ჩასწვდა გლეხების გულს, შეიერთა იქიდან ამონახეთქი გმინავის ხმა და დაეშვა ქოხებისკენ, რომ ეცნობებია ყველასთვის ეს სამწუხარო ამბავი.

დარაგანის მთები კი დემონურათ ხითხითებდენ.

ირეთელი.

ჩემი ხმები

აბა რად მინდა ჩონგური
გლოვის ხმით აჟღერებული,
აბა რას მშველის სევდის ტბა
შავ-კლდეზედ დაცრემლებული!..
„ვაის“ არ ვიტყვი გულსაკლავს,
ცრემლებს ავუფენ რიდესა,

სხვა ხმით გავძახებ სამყაროს
მოვუხმობ კიდით-კიდესა!..
ჩემი სიმღერა სხვა არის,
სხვა ჰანგზე აჟღერებული,
იგი ტყვიაა ზუზუნა
შურდულით მომიზნებული!..
ხან ბობოქარი ტალღაა,
ქვეყნათ უშიშრად მგოგავი,
მტრისა ბანაკის გამპობი
ჩაგრულთა—შვებით მომსავი.
ხან ისარია ფრთიანი
დაბლიდან ზე ატყორცნილი,
არწივს რო ფრთებში გაეკვრის
მკერდიდან გულში ვარდნილი!
აბა რად მინდა ჩონგური,
გლოვის ხმით აჟღერებული,
აბა რას მშველის სევდის ტბა
შავ-კლდეზედ დაცრემლებული!..

—

როს მეგობარი სულსა ლევს
შორს, ველზე, მტრისგან დაჭრილი,
ვინ იტყვის გულს არ ეწვევა,
დარდი, სევდა და წუხილი!..
მივალ და ვეამბორები
გვირგვინს მიუძღვნი მეგობარს,
ცრემლ მარგალიტად დავაფრქვევ
მისგან დანადგენ სისხლის ღვარს,
რომ ჩემი ცრემლთა ნაკადი
აცისკროვნებს არესა
და მეგობარის საფლავზედ
რწყავდეს ვარდს მონარნარესა!
მე ვალს გადვიხდი მეგობრულს
კვლავ გავუდგები ჩემს გზებსა,
კვლავ მამაცურად ჩამოვკრავ
იმ ჩემს საქვეყნო ზარებსა,
რომ ერიქონის სხეკვირი
ახგრევდეს ზღუდე-კედლებსა
და ჩემი სატრფო ტყვეული
ხუნდებს აცლიდეს ხელებსა!
აბა რას მშველის სევდის ტბა
შავს კლდეზე დაცრემლებული,
ან მარად გლოვის სიმღერა—
ცივ სიმზე აჟღერებული!

გელა.

ტალღა.

ღელვის შვილი, ღელვის ზღვაზე
მიკრთის, შვებით მისრიალებს,
ფაფარ აყრილ ზვირთებს ებრძვის,
ქარიშხალათ დასტრიალებს.

ცას შესცინის, მთრთოლავ მზესა,
ეკონება სხივთა ალებს,
მთვარის შუქზე ბროლ გულ მკერდსა
შლის... აციმციმ-აციალებს.

ეს სიცოცხლის თაიგული
მიჩვეული ოროომ-ტრიალს,
ნეტარების ჰანგებს უთხზავს
მშობელ არეს განატიალს.

და იმედის ალამის შლით
იმედს აფრქვევს, იმედს სთესავს,
სიდუხჭირეს, გულის ვარამს
ლტოლვის გზაზე სთელავს... სთელავს.

და კვლავ მედგრათ, მედგრათ მიკრთის,
სიხარულით—მისთამაშებს..
ზვირთთა გორებს უპოვარი
ულმობელათ განზე აგებს.

—

შენაც ტალღავ ცხოვრების ზღვის
დაჩაგრულო მოძმის გულო,
უკმეხ ბედით, ოხერ ხვედრით
ტანჯულო და წამებულო!

ნუ შედგები, ნუ შედრკები!
ამღელვარდი... იმქუხარე,
შორს გასტყორცნე მწვავე სევდა,
შორს გასტყორცნე სიმწუხარე.

მტარვალთ სამყოფ-საბუდარი
შეანგრიე გადალახე!..
კმარა, კმარა ქედის წახრა,
კმარა ძრწოლა-სივაგლახე.

ბ. პელაშვილი.

პატარა ფელეტონი

მგოსანი და კუჭი.

(ვუძღვნი ქართველ მგოსნებს).

იგავისებური.

მაგიდასთან მიკრუნჩხული
ზის მგოსანი ფიქრათ მდნარი,
ციურ ცეცხლით ეწვის სული,
ვნებას უშლის გულის ქნარი.
ხან სწერს და სწერს გაჩქარებით,
ხან ყრუ კედელს აცქერდება,
რაღაც უცხო, ფარულ გზნებით
სულის აჩრდილს ეეედრება.
აჰა მიწვდა. სიხარულით
კალამი კვლავ მოიმარჯვა,—
მაგრამ ამ დროს თავხედურათ
კუჭმა თავში შესტყორცნა ქვა.
თან შესძახა: „რას თავხედობ“
რის კალამი, რის ლექსები,
უბედურო განა ვერ გრძნობ
რომ ნაწლევებს ველესები?
შორს კალამი, შორს ეგ მუზა,
გაიმარჯვე ისევ ჭკუა!
ვინც შიმშილით მოიკუზა
თავის თავი მოატყუა.
გაიხსენე ხარ ქართველი,
ამავე დროს პროლეტარი,
დიდ მგოსნობას ნუ მოელი
დახშული გაქვს მისკენ კარი.
ეგ მწერლობა ვერ გიშველის,
გზას ამცდარხარ უბედურო,
მსხვერპლი ხდები განსაცდელის,—
სჯობს ისევ მე მემსახურო“!
არ ეამა მგოსანს რჩევა,
ბრაზით თავზე დაჰკრა მუშტი,
ცოტა დაცდა, საცოდავმა
გაიხეთქა კალამ ბუშტი.
თან მგოსნურათ შეუკურთხა:
— მანდ ჩაქვავდი შე თავხედო,
ამ განკითხვისა წუთებში
რა გიჭირს რომ არ მაყბედო!
ეხლა შენთვის სად მცალია,
პოემა მსურს, გავაგრძელო,—
საძაგელო! ..

კუჭი გასწყრა,
„ტუტუციო“ —ჩაიკვნესა,
მოემზადა გასაქცევათ,
გამოშორდა ნაწლევებსა.
საადვილო კარებისკენ
ფაცა-ფუცით გაემართა,
ეცა ზათქით .. თქვენს მტერს—მაშინ
რაც ჩვენს მგოსანს დაემართა.
ვერ გაუძლო კუჭის გაყრას,
საცოდავათ დაიღრიჯა,
მეტის მეტი სიმწარისგან
თმა და წვერი დაიგლიჯა.
შემდეგ ენის ძლივ ლასლასით
დაუჩოქა კუჭს ვედრებით,
და ცხაე ცრრემლ-მორეულმა
შეღაღადა ქებათ ქებით!
— სულის სწორო არ დამღუპო,
შენს ერთგულ ყმას არ გამექცე —
და აწ სიტყვას არ გაკადრებ
თუნდ ყურეში ცემით მეცე
ქაჯმა ზიდოს ჩემი მუზა,
ტარტაროზმა ლექსი მწველი,—
შენს დუდუკზე ჩამოუვლი,
ოღონდ მყავდე მადლიერი.
სოქვა და ჯიდეც შეასრულა,
შეაქცია ზურგი მუზებს,
ოცნება კი საუკუნოდ
გაატანა ხარაბუზებს.

—

ეს არაკი უსაცილოდ
მომავალშიც გამოდგება,—
ქართველ მგოსანთ ლეგიონი
მალე მუზას გაეყრება.
ამაოა ვინც უკუპოთ
აპოლლონსა ეეედრება:—
გრწამდეთ თევზი ვერ იცოცხლებს
სადაც ხშირად წყალი შრება!

ლახვარი.



ზეინაბ და ოთარ-ბეგის გასამართლება ქ. ქუთაისში.

(ბრალდებელ გრ. გიორგაძის ციტკა).

ბატონო მოსამართლენო და ნაფიცნო მსჯულნო! საქართველო, ქართველი ერი—ეს წამებული ბიროგნებაა, რომელიც მთელი სუკუნოების განმავლობაში, ყისაც ხელი მოსწყდებოდა, სურდა ხელთ ეკდო, დაესაკუთრებინა ეს ძვირფასი კუთხე, ხელთ ჩაეგდო ეს მდიდარი ბუნება და მისი სტრატეგიული მდგომარეობა, და ამ მიზნისათვის არ ერიდებოდენ გასაფარ, არა ჩვეულებრივ სისასტიკეს და ვერაგობის, ბოლიტიკურ ფლიდობის და თვალთმაქცობას. საქართველო, ეს ის ბუჩქია, რომელსაც ტეტხლი ეკიდა, მაგრამ არ აწყდა, ადელვებულ ზღვაში მცურავი ხომალდია, რომელსაც ყოველ წუთს უბედურება მოელის, მაგრამ არ იდუნება, ეს ყოველ დროს იარადში ჩასხმული მეომარია...

ბევრი ქარტეხილი გადახდა მას, ბევრმა გრიგალმა გადაუარა თავს, მაგრამ, როგორც მძლავრი მუხა ქარიშხალის დროს, ისტორიულმა უკუღმართობამ ის ვერ წალეკა.

ასეთმა ისტორიულმა ბირობებმა შექმნა ქართველისაგან საუკეთესო მეომარი, მებრძოლი, თავგანწირული მამულისშვილი. მან თავისი სისხლით მორწყო საშობლოს ყოველი ადგილი მიწა, დასვა მას თავის ნიშანი და თავის საფარკა ბრძოლით არა ერთხელ უკუ უქცევია მტერი შემუსრული.

ქართველის ბრძოლა იყო მუდამ შეუპოვარი, გაჟკაცური, ბირდაბირი; მას სჩვეოდა მტრის სიცოცხლის წართმევა და არა მოპარვა; ის მტერს საჯაროთ აწყვეტს, მომხოურს ვაჟკაცურათ უხვდება, ხშირათ თავსაც აბეებს, სიცოცხლეს სწირავს, მაგრამ კვდება, როგორც საუკეთესო ქართველი და ადამიანი, თავისი ადამიანური და ეროვნული ბრინციპები თან სამარეში მიაქვს და დანარჩენების მათ დაცვას უანდერძებს.

ქართველებმა, როგორც ანანია ამბობს, მკერდში ცემა იცოდენ, და არა სპარსელებისავით ზურგში დაკვრა.

მაგრამ მუხთალმა ცხოვრებამ ზოგიერთი გასტეხა, ვაჟკაცობაზე, ქართველობაზე, ზნეობრივ ბრინციპებზე სიანდალზე, ბატიოსნებაზე, შებრალებაზე, ყოველგვარ ადამიანურ კრძნობაზე ხელი აადებინა, წელში მოხარა, მოანთ გასხდა, დაავწია ის, რასაც თაყვანს სცემდა, და თაყვანი ეცემინა მისთვის, რაც მას ეჯავრებოდა და ეზიზღებოდა.

ასეთი გახდა ეს ორი ბიროვნება, ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელნი, რომელიც ესენ თქვენ წინ დგანან, როგორც დამნაშავენი, რომელი მოქმედება-მოდგენობას თქვენ მიუდგომელი მსჯავრი უნდა დასდოთ.

სიქმე მშვერ-მეტეველურად მოწმობს, რომ საქართველო დიდ განსაცდელში ჩაგდო სპარსელების ბატონობამ. გული ბოდმით გეგსებოთ და თვალები ცრემლებით, რომელიც დამის ნაგალულათ იქცეს, როდესაც ნათლათ წარმოგიდგენთ ამ საუტანელ მდგომარეობას, რომელშიდაც არა დირსეულმა მტერმა თავგანწირული ქართველობა ჩაყენა; წაართვა მას ეოველივე წმინდათა წმინდა, ფეხქვეშ გათელა მისი ზნეობა, თავმოყვარეობა, კანაკდგურა ქონებრივათ, მონათ გახადა.

სულეიმან ხანი ქართველებს „უწმინდურ ძალ-ქრისტიანებათ“ იხსენიებს. დიდ, ქართველობა მის თვალში ძალდია მას შემდეგ, რაც მან, როგორც თვითონ ტრაბახობს „გურჯისტანის მზე დაანბინდა და ქართველთ მეფის მკერდიდან მიროთოლვარე გული ამოგლეჯა“ დაიპყრო ქართველობა და წაიყვანა ეოველივე მისი გრძნობა.

გლეხი ბესო სამართლიანათ ეუბნება ოთარ ბეგს: „ლამაზი ქალები დიადაც გვეკვდენ, მაგრამ ქალწულება კი დიდხანს არ შეგჩენიათ. რაც მე და შენ ისლამმის ნათელი მოგვეფინა და ქართველი ეზიზღებაში მეგობრები ეკვეთინეთ, საქართველოს კიდევ გურჯისტანი დაგარქვეთ, სულ ერთხელ და შემხვდა ქალწული ქალი, მაგრამ ისიც ულამი იყო და ორი ბავშვის დედა გამოდგა. ამაზე ზევით ხალხის შეეფრობა, მისი ბიროვნების კათელვა ვერ წყვა. „ქალები გამოადეენო“, ამბობს იგეგე ბესო. „ქალები, ბატონო“, ეუბნება ოთარ ბეგს ანანია: „რაც სადმე ლამაზი იყო, ჯერ ისევ შარშანვე ეველა თბილისს წასხვეს, და რაც უხეირები დარჩენ, ისიც სულ შენმა ჩაფრეებმა თავთავიანთვის დაირეგეს.

აი რა დღეს განიცდიდა თავმოყვარე და ზნე დაჭერილი ქართველი ქალი. მას დეჩქი მოხდეს, შეურცხეეს, კათელეს მისი ზნეობა, წმინდა და წმინდა, მაგრამ ის მტარვალს არ დამორჩილებია, თავის ნებით მახ ეულში არ ეკვრდა, არ ეალერსებოდა, არ ეეყვარდა, წან

>ლმდეგ ის მისდამი სიძულვილს გრძნობდა, მაგრამ დამარცხებული სდუმდა, წამებას განიცდიდა და აგვანში მწოლარე ბავშვების განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ამზადებდა. სარწმუნოებაც შეიბღალა: „რა სარწმუნოებასაც ბატონია, მსახურნიც ამ სარწმუნოებისანი უნდა იყონენ“—ო ადარებულ აქნა ბრინციპად და ისლამის წესდებადი საქართველოს, მოეფინა. დიდ, ეოველ მხრივ საქართველოს, როგორც ანანია ამბობს, ერთი ორათ ელეკდენ და ქართველობას ძალდებისავით სცემდენ. ვინ მოიყვანა რამდენი სხვა მრავალ გვარი უბედურება გადახდა ამ დროს ქართველობას: ეარა ეუსუფი მოახსენებს სულეიმან ხანს: „ოცდა შვიდი კაცი ტახის ქოქურებზე ჩამოვახრეს ადგილზე სადგებლათ, ორმოცდაათს თავი მოვკვეთე და ტანი სანეხვეზე გადაგურეთენ. ოცდა ცხეტეტ ეს ერის ეხლა მოიეეანესო“.

შეეკითხება ამ ზომაშდის ალწევს, რომ სულეიმან ხანი ბრძანებს სტეშს: ზარები არ დარეკოს ალდგომის; კეთილეგოზს თავი მოჭეეეთეს მიტომ, რომ ერთხელ ზარს შეტდომით შემოჭერეს სობოროში.

დათოს ბერით კი აი რას ამბობდა ტანჯული ერი: „ჩვენ ეხლა ერა კი არა ვართ, — თითრები ბერეტუეები ვართ! მიერუებულ ხეეებში მალეთ ალოტულობთ, ეკლესიები დაეგინერეეს! საქონელს, ბურს, მოსავალს, — უეეალეფერს ეეტაცებენ, ტებსა და სასტოლოებს ეეტაცებენ, ბაზრებში ჭეიდან და ჩვენ თავალ წინ აუბატიურებენ.. ჯამსა და ძალზე თეიერი შეზიზღება, როდესაც ეს ულალი კისერზე მაჯერს“.

ასათა ეთო საქართველოს სურათი, როეორც ჩვენ ამას საქმე თავალ წინ ეეიშლის.

როეორ მოიქცენ ნამდვილნი, მამულიშვილნი ასეთ მდგომარეობაში, როეორ მოიქცენ ისინი, ვისაც მეერდში ეეთალშობილური ეული უძეერდა, ბატიოსნება, სინიდისი მთა ეერბი ეთო საშშობლო სათაუანებელი საკანი?

მეზრან ბატონი, რომელმაც ეერ ეაუმაერა თავალ ასეთ სიეერაეეს, ეერ უეერა ეულ ცოვათ სალხის ტანჯეაეებას,-ამერეთს ეაიქცა, რომ რაამე ღონე ედონა, ხალხი მოეემზადებია, მოეაეშორეები ეშოვა და მტარვალისაგან საქართველო ეანთავისუფლებია; ცოცი საზელოვნათ მოეაგდა; საეკვალთო დასაჯეს; სუმბათი და ორბელიანი შეერთალენ, ალალუჯის მთებში ეაიხიზნეს, ერთეულნი ეარს შემოიერიბეს და იქალან, ვით ეეეზვი ერაეებს, სპარსნი თავს ესხმალენ და ალეწროებალენ. ალითი ალე მათი რაზმები მრალველებალენ, მათთან მალიოდენ ეალეხები, მელველები, ბერები და ამათთან სტო

ბოდნენ. მეც ის ვისწავლე, რომ არავინ მებრალებოდა. მებრალებაც, სიყვარულიც, სინიდისის ტანჯვაც — ჩემს გულში ყველა გაქრა.

(შემდეგი იქნება)

გრ. გიორგაძე.

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა

„შრომა“

(მუხრანის ქუჩა, № 12).

ღებულობს ყოველგვარ საბეჭდავ საქმეებს: წიგნებს, გაზეთებს, ბლანკებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. ქართულ და რუსულ ენებზე.

საქმეებს ასრულებს სუფთად და სწრაფად.

ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში.

იყიდება

ძლიერ დაკლებულ ფასებში

შემდეგი გამოცემანი:

1) „**ეშმაკის მათრახა**“ 1908 წლისა. (35 ნომერი ერთად შეკერილი) — 1 მან.; დაკაზმული მშვენიერ ყდაში — 1 მან. 75 კ.; მსურველს პროვინციაშიაც გაეგზავნება ფოსტით ხოლო გაგზავნის მიმატება — 50 კ.

2) „**მათრახ-სალამური**“ 1909 წლისა (34 ნომერი), დაკაზმული და დაუკაზმავი — იმავე ფასებში, როგორც პირველი.

3) „**ეშმაკის მათრახა**“ 1907 წლისა (13 ნომერი ერთათ შეკერილი) — 1 მ.; გაგზავნით 1—20.

4) „**ალმანახები**“ 1909 წელში გამოცემული: „აკაკი“, „ეშმაკი“, „ჯოჯოხეთი“, „ეშმაკის მათრახი“ და „ტარტაროზი“. (სულ 10 ნომერი ერთათ შეკერილი) — 30 კაპ.; გაგზავნით 50 კ.

ვისაც სურს თითო ცალის გამოწერა პროვინციებიდან — ფულის მაგივრად შეიძლება, ღირებული ფოსტის მარკებიც გამოიგზავნოს.

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Мухранская ул. № 12, Теофилу Болквадзе.

პირველ იანვრიდან გამოდის ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

სალამური

ჟურნალი წლიურად ღირს 5 მანეთი, თვიურად 50 კაპ. ცალკე ნომერი 10 კაპ.

დაიბეჭდება: მოთხრობები, ლექსები, კრიტიკული წერილები, პატარა ფელეტონები, საყურადღებო ამბები, კორესპონდენციები და სხ.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები, პირველ გვერდზე სტრიქონი ღირება — 30 კაპ., უკანასკნელ გვერდზე კი — 15 კაპ.

რედაქცია სთხოვს კორესპონდენტებს ზანდეროლით ნუ გამოგზავნიან ხელთნაწერს, რადგან ამაში ერთი-ორათ იხდის ფასს. არ გამოისყიდის რედაქცია აგრეთვე უმარკო წერილებს.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ მუხრანის ქუჩა № 12. რედ.-გამომც. ნ. სულხანიშვილი.